

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41, 30.12.2004, მუხ. 200) შემტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. პირველი მუხლის მე-2 ნაწილი ამოღებულ იქნეს.

2. მე-9 მუხლის:

ა) მე-4 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) საბაჟო გადასახადი“.

ბ) მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. მე-12 მუხლის:

ა) 22-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„22. აღიარებული ზედმეტად გადახდილი თანხა – ცალკეული გადასახადებისა და სანქციების მიხედვით ზედმეტად გადახდილი თანხა, რომელიც:

ა) გამოვლენილია საგადასახადო ორგანოს მიერ;

ბ) დადასტურებულია საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის საფუძველზე;

გ) დადასტურებულია ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დაგების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილებით;

დ) წარმოშობილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.

ბ) 24-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„24. საგადასახადო დავალიანება – სხვაობა გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ჯამურ საგადასახადო ვალდებულებასა და მის მიერ ცალკეული გადასახადებისა და სანქციების მიხედვით ზედმეტად გადახდილი თანხების ჯამს შორის.“

გ) 25-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„25. აღიარებული საგადასახადო დავალიანება – სხვაობა გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის აღიარებულ ჯამურ საგადასახადო ვალდებულებასა და მის მიერ ცალკეული გადასახადებისა და სანქციების მიხედვით აღიარებულ ზედმეტად გადახდილი თანხების ჯამს შორის.“

4. მე-13 მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ხდება გამყიდველის მიერ წარმოებული/გაწეული საქონლის/მომსახურების რეალიზაცია;“.

5. 44-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 44. მიმოწერა გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირსა და საგადასახადო ორგანოს შორის

1. გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირსა და საგადასახადო ორგანოს შორის მიმოწერა შეიძლება განხორციელდეს წერილობით ფორმით ან საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევებში – ელექტრონული ფორმით. ელექტრონული ფორმით მიმოწერის შემთხვევებსა და წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

2. გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირსა და საგადასახადო ორგანოს შორის წერილობითი ფორმით გასავსავანი ნებისმიერი დოკუმენტი ხელმოწერილი უნდა იყოს მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ (გვარის, სახელისა და თანამდებობის მითითებით) და დამოწმებული უნდა იყოს ბეჭდით (თუ აქვს ბეჭედი). ადრესატს უნდა გადაეცეს დოკუმენტის დედანი ან დამოწმებული ასლი.

3. წერილობითი ფორმის „საგადასახადო მოთხოვნა“, შეტყობინება, „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა“, საგადასახადო დეკლარაცია, შესავლებელი, სხვა დოკუმენტი ან წერილი გადაცემულად ითვლება, თუ იგი გაიგზავნა დაზღვეული საფოსტო გზავნილით ან ჩაბარდა უშუალოდ ადრესატს.

4. დაზღვეული საფოსტო გზავნილით გაგზავნის შემთხვევაში დოკუმენტის/წერილის გადაცემის თარიღად ითვლება საფოსტო გზავნილის გაგზავნის თარიღი.“.

6. 57-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საგადასახადო ვალდებულებად ითვლება გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის, სხვა ვალდებულ პირის ვალდებულება გადაიხადოს ამ კოდექსით დაწესებული და შემოღებული გადასახადი, აგრეთვე ამ კოდექსით დაწესებული და აღვილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით შემოღებული გადასახადი, აგრეთვე დაკისრებული საგადასახადო სანქცია.“.

ბ) დაემატოს მე-4 ნაწილი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საგადასახადო ვალდებულების თანხობრივი გაანგარიშება ხდება სრულ ლარებში. ამ მიზნით საგადასახადო ვალდებულება 1 ლარამდე ნულდება.“.

7. 61-ე მუხლის მე-9 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. საწარმოს/ორგანიზაციის შემადგენლობიდან ერთი ან რამდენიმე საწარმოს/ორგანიზაციის გამოყოფისას გამოყოფილ საწარმოებზე/ორგანიზაციებზე ვრცელდება ამ მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილები.“

8. მე-80 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საგადასახადო მოთხოვნა“ არის საგადასახადო ორგანოს მიერ მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი წესით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც წარედგინება გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს. „საგადასახადო მოთხოვნის“ შესრულება სავალდებულოა ამ კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.“.

9. 82-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა“ მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში უნდა შესრულდეს მისი მიღებიდან 3 თვის ვადაში, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.“

10. 84-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ქონებაზე ყადაღის დადებით და ყადაღადაღებული ქონების რეალიზაციით;“;

ბ) პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) ბოლოში დაემატოს მე-4 ნაწილი შემდეგი რედაქციით:

„4. ამ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები გაკოტრების საქმის წარმოებისას ან რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფ საწარმოებზე გამოიყენება მხოლოდ მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებთან მიმართებაში.“.

11. 85-ე მუხლის:

ა) მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 6 წელს, რომლის დენაც ჩერდება:

- ა) გაკოტრების საქმის წარმოების პერიოდში;
- ბ) საწარმოს რესტრუქტურის/ზაციის რევიმში ყოფნის პერიოდში;
- გ) საგადასახადო დავის მიმდინარეობისას.”;
- ბ) მე-8 და მე-9 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება გაუქმებულად ითვლება:

ა) დავალიანების დაფარვისთანავე, თუ გადასახადის გამამხდელმა სრულად დაფარა დავალიანება;

ბ) საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების ხანდაზმულობის ვადის გასვლისთანავე;

გ) საგადასახადო ორგანოების მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შემთხვევაში;

დ) „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონის შესაბამისად საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შემთხვევაში.

9. იმ ქონების გადაცემის ხელშეწყობის მიზნით, რომელზედაც ვრცელდება საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს გააუქმოს გირავნობა/იპოთეკა, თუ საგადასახადო ორგანო ქონების სანაცვლოდ მიიღებს ამონაგებ თანხას ან თუ ჩათვლის, რომ ასეთი ქმედება სახელმწიფოს ინტერესს წარმოადგენს.”;

გ) ბოლოში დაემატოს მე-10 ნაწილი შემდეგი რედაქციით:

„10. საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გაუქმების შემთხვევაში საგადასახადო ორგანო გასცემს ცნობას ქონების საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ.”.

12. 87-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 87. ქონებაზე ყადაღის დადება და ყადაღადადებული ქონების რეალიზაციაზე გადაწყვეტილების მიღება

1. აღიარებული საგადასახადო დავალიანების არსებობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ყადაღა დაადოს გადასახადის გამამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საკუთრებაში არსებულ ან/და ბალანსზე რიცხულ (ლიზინგით მიღებულის გარდა) ნებისმიერ ქონებას, მათ შორის, მოძრავ, უძრავ, არამატერიალურ ქონებას, აღიარებული საგადასახადო დავალიანების მოცულობის ფარგლებში და განახორციელოს ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია. საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის პირველი ნაწილით და 150-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადასახადის გამამხდელის ქონებაზე ყადაღის დადება ხორციელდება სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

2. საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობას, გადასახადის გამამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის ქონებაზე ყადაღის დადებას და ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე, სასამართლო განიხილავს ერთდროულად და გადაწყვეტილებას (ბრძანებას) დებულობს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

3. ამ კოდექსის მიზნებისათვის ქონებაზე ყადაღის დადება წარმოადგენს გადასახადის გამამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის ქონების აღწერას (მხოლოდ ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ ფარგლებში), ამ ქონების განკარგვის (გამამხდელის მიერ ნებისმიერი ფორმით გასხვისების, დაგირავების, იპოთეკის, უზუფრუქტის, სერვიტუტის ან აღნაგობით დატვირთვის, თხოვების, ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულების დადებას, სხვისთვის დროებით ან მუდმივ მფლობელობაში გადაცემის) აკრძალვას, მაგრამ არა ჩვეულებრივი

საწარმოო მიზნით გამოყენებას (გარდა რეალიზაციისათვის გათვალისწინებული საქონლისა) და სარეალიზაციოდ განკუთვნილი საქონლის შესანახად გადაცემას. ქონებაზე ყადაღის დადების შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს არა აქვს ქონების გადაცემის, გაყიდვის, გაქირავების, იჯარით გადაცემის ან სხვა სახით განკარგვის უფლება საგადასახადო ორგანოს წერილობითი თანხმობის გარეშე, ისიც მხოლოდ იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილი იყოს ამის შედეგად ამონაგები თანხის შეტანა საგადასახადო დავალიანების დასაფარავად.

4. ნივთზე ყადაღის დადების ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებები საგადასახადო ორგანოს მიერ დაუყოვნებლივ ეგზავნება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურს.

5. საგადასახადო ორგანოს შეუძლია დაავალდებულოს გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებულ პირი წარმოადგინოს თავისი ქონების ნუსხა. ქონების ნუსხაში უნდა აღინიშნოს ის ქონებაც, რომელიც გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებულ პირის სხვებისგან ეკუთვნის. გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებულ პირის წერილობით გარანტიას იძლევა, რომ მან ყველა ის მონაცემი, რომელიც მისგან მოითხოვს, მაქსიმალურად სწორად და სრულად წარმოადგინა. თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებულ პირი არ წარმოადგენს ქონების ნუსხას ან უარს ამბობს წერილობითი გარანტიის მიცემაზე, ან შეგნებულად წარმოადგენს არასწორ ინფორმაციას, მას დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. საგადასახადო ორგანო ამოწმებს გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებულ პირის მონაცემების სისწორესა და სისრულეს. გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებულ პირის მიერ ახალი ქონების შეძენის შემთხვევაში იგი ვალდებულია არაუგვიანეს 7 დღისა შეასწოროს მის მიერ წარდგენილი ქონების ნუსხა და საგადასახადო ორგანოს მისცეს ახალი გარანტია.

7. საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი ყადაღადადებულ ნივთებს აღნუსხავს ქონებაზე ყადაღის დადების (აღწერის) აქტში.

8. ქონებაზე ყადაღის დადების (აღწერის) აქტში უნდა აღინიშნოს:

- ა) მისი შედგენის დრო და ადგილი;
- ბ) ყადაღის დადების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები საგადასახადო ორგანოს დასახელება, საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლის სახელი, გვარი და ის პირები, რომლებიც დაესწრენ აქტის შედგენას;
- გ) მოვალის რეკვიზიტები (სახელი და გვარი/დასახელება, მისამართი), გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- დ) მასში შეტანილი თითოეული საგნის დასახელება და განმასხვავებელი ნიშნები (წონა, მეტრაჟი, ცვეთა და სხვა);
- ე) მასში შეტანილი თითოეული საგნის შეფასება და მთელი ქონების ღირებულება ამ შეფასების შესაბამისად;
- ვ) საგანი ან/და სადგომი, რომელიც დაილუქა, და მასზე დადებული ლუქების რაოდენობა და აღწერილობა;
- ზ) იმ პირის დასახელება, ვისაც შესანახად გადაეცა ქონება და მისი მისამართი, თუ შენახვა თვით მოვალეს არ დაევალა;
- თ) რომ მოვალესა და ქონების შემნახველს განემარტათ მათი მოვალეობა ქონების შენახვისათვის და პასუხისმგებლობის საკითხი გადაცემული ქონების გაფლანგვის, გასხვისების ან გადამალვისათვის;
- ი) რომ მოვალესა და სხვა პირებს განემარტათ საგადასახადო ორგანოს მოქმედებათა გასაჩივრების წესი;
- კ) საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლის ან/და მოვალის შენიშვნები.

9. ფასიანი ქაღალდები ან/და ფასიანი ნივთები შესანახად ამოიღება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საგადასახადო ინსპექციის

წარმომადგენლის მიერ, თუ არსებობს ყადაღადადებული ნივთების ხელყოფის საშიშროება. თუ ეს ნივთები რჩება მოვალესთან, მაშინ ყადაღის დადება ხდება დალუქვით.

10. ქონებაზე ყადაღის დადების (აღწერის) აქტს ხელს აწერენ საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი, ქონების შემნახველი, მოვალე და სხვა პირები, რომლებიც ესწრებოდნენ ყადაღის დადებას. თუ ამ პირებმა უარი თქვეს აქტის ხელმოწერაზე, აქტში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა.

11. თუ მოვალის ქონებაზე ყადაღის დადებისას მესამე პირები განაცხადებენ ამ ქონებაზე თავის უფლებებს, ქონება შეიტანება აღწერის სიაში, მაგრამ გაკეთდება სათანადო აღნიშვნა.

12. ყადაღადადებული ნივთები ფასდება საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლის მიერ. თუ საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელი ვერ შეაფასებს ცალკეული საგნებს მოიწვევა ექსპერტი ან აუდიტი.

13. თუ საგადასახადო ორგანოს საკმარისი საფუძველი აქვს მიიჩნიოს, რომ გადასახადის გადახდევინებას საფრთხე ემუქრება (მათ შორის დეკლარაციების წარდგენისაგან თავის არიდებით), მიუხედავად იმისა აღიარებულია თუ არა საგადასახადო დავალიანება (დეკლარაციების წარდგენისაგან თავის არიდების შემთხვევაში მიუხედავად იმისა წარმოიშვა თუ არა საგადასახადო დავალიანება), მას უფლება აქვს დაუყოვნებლივ დაადოს ყადაღა მოვალის ქონებას საგადასახადო დავალიანების ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში საგადასახადო ორგანომ ყადაღის დადებიდან 72 საათში სასამართლოს უნდა წარუდგინოს შუამდგომლობა საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით მოვალის ქონების დატვირთვის თაობაზე (თუ მოვალეს აქვს შესაბამისი ქონება) ან/და ქონებაზე ყადაღის დადების დადასტურების შესახებ (თუ მოვალეს არა აქვს გირავნობით/იპოთეკით დასატვირთი ქონება ან მისი ღირებულება არასაკმარისია საგადასახადო დავალიანების დასაფარავად). სასამართლო ვალდებულია მომდევნო 72 საათის განმავლობაში მიიღოს გადაწყვეტილება (ბრძანება) შუამდგომლობის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე ან უარყოფის შესახებ. თუ აღნიშნულ ვადაში საგადასახადო ორგანო სასამართლოში არ წარადგენს შუამდგომლობას ან სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას (ბრძანებას) ყადაღის დადების დადასტურების შესახებ, ყადაღა მოხსნილად ჩაითვლება. ამ შემთხვევაში ნაწილობრივ განსაზღვრული სასამართლო ბრძანება გამოიცემა და საჩივრდება ამ მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესით.

14. საგადასახადო ორგანომ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მიიჩნიოს, რომ გადასახადის გადახდევინებას საფრთხე ემუქრება, თუ:

ა) გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი მაღავეს ქონებას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საგადასახადო ვალდებულების დასაფარავად;

ბ) გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი, ან სხვა ვალდებული პირი ემზადება ქვეყნის დასატოვებლად ისე, რომ არ ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს და არ ახორციელებს არანაირ ქმედებას ვალის დაფარვის მიზნით;

გ) გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი ცდილობს გამოცხადდეს გაკოტრებულად;

დ) არსებობს გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ ნამდვილი ან თვალთმაქცური გარიგებით ქონების გასხვისების რეალური საშიშროება, რომელიც გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის მის მიერ საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფას;

ე) გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს ერიცხება ვადაგადაცილებული აღიარებული საგადასახადო დავალიანება, საკუთრებაში აქვს 10 000 ლარზე მეტი და არ ფარავს დავალიანებას.

15. ქონებაზე ყადაღის დადებისა და ყადაღადადებული ქონების ამოღების, შეფასებისა და შენახვის წესებს ადგენს საქართველოს მთავრობა.

16. გადასახადის გადამხდელის ქონებაზე დადებული ყადაღა საგადასახადო ორგანოს მიერ სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე უქმდება:

- ა) აღიარებული საგადასახადო დავალიანების სრულად დაფარვისთანავე;
- ბ) საგადასახადო ორგანოს მიერ ან გაკოტრების საქმის წარმოებისას ყადაღადადებული ქონების დადგენილი წესით აუქციონზე რეალიზაციის შემთხვევაში;
- გ) სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით;
- დ) ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელმა, საგადასახადო ორგანოს წერილობითი თანხმობით განახორციელა ყადაღადადებული ქონების გაყიდვა და ამონაგები თანხა სრულად მიმართა საგადასახადო დავალიანების დასაფარად;
- ე) ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში“.

13. 88-ე მუხლის:

- ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 88. ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის წესი“;
- ბ) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების ღია აუქციონზე რეალიზაცია ხორციელდება:
ა) ამ კოდექსის 87-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილების (ბრძანების) საფუძველზე;
ბ) ქონების აუქციონზე რეალიზაციის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების (ბრძანების) საფუძველზე, თუ გასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადება განხორციელებულია საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის პირველი ნაწილის ან 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.“;
- ბ) მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„დ) ქონების საწყისი ფასი, რომელიც ყადაღის დადების (აღწერის) აქტში მითითებული ყადაღადადებული ნივთის შეფასებითი ღირებულებაა“;
- გ) მე-14 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„14. ყადაღადადებული მალფუჭებადი საქონლის რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს დაუყოვნებლივ. მალფუჭებადი საქონლის, რომლის დაყადაღება და რეალიზაცია ხორციელდება სასამართლო გადაწყვეტილების (ბრძანების) გარეშე. მალფუჭებად საქონლად ითვლება მხოლოდ ის საქონელი, რომლის შენახვის ვადის გასვლამდე დარჩენილია 10 დღეზე ნაკლები. მალფუჭებადი საქონლის გაყიდვის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის სხვა კრედიტორებს აუქციონის ჩატარების თარიღიდან 60 დღის ვადაში უფლება აქვთ მიმართონ საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელს ადმინისტრაციული სარჩელით, რომ მათაც ჰქონდათ რეგისტრირებული გირავნობის უფლება გაყიდულ მალფუჭებად საქონელზე საგადასახადო გირავნობის რეგისტრაციის თარიღზე უფრო ადრე. ასეთი სარჩელის მიღების შემდეგ საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელი ვალდებულია ადმინისტრაციული სარჩელი განიხილოს 30 დღის ვადაში. საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელის მიერ მოსარჩელის სასარგებლოდ სარჩელის გადაწყვეტის შემთხვევაში საგადასახადო ორგანო გადაუხდის მოსარჩელეს მალფუჭებადი საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხის მთლიან ოდენობას ან მოთხოვნილ თანხას, უმცირესი თანხის მიხედვით.“.

14. 89-ე მუხლის:

- ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი არ შეასრულებს საგადასახადო ვალდებულებას მისი შესრულებისათვის საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ვადაში, მაშინ საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, აღიარებული საგადასახადო დავალიანების ფარგლებში, მისი საბანკო ანგარიშიდან საინკასო დავალებით ჩამოწეროს გადასახადის, საურავისა და ჯარიმის თანხები და ჩარიცხოს ისინი შესაბამის ბიუჯეტებში. საფინანსო დაწესებულებაში უცხოური სავალუტო ანგარიშის არსებობის შემთხვევაში ეს დაწესებულება

ახორციელებს ამ ანგარიშზე არსებული თანხის კონვერტაციას ეროვნულ ვალუტაში“;

ბ) ბოლოში დაემატოს მე-5 და მე-6 ნაწილი შემდეგი რედაქციით:

„5. გადასახადის გადამხდელის საბანკო ანგარიშებზე წარდგენილი საინკასო დავალება შეიძლება შეჩერდეს:

ა) ამ კოდექსის 148-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სადავო თანხის მოცულობის ფარგლებში;

ბ) სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საინკასო დავალების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე იღებს:

ა) საგადასახადო ადმინისტრაცია, თუ შეჩერებული საინკასო დავალების ღირებულებაა 250 000 ლარამდე;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, თუ შეჩერებული საინკასო დავალების ღირებულებაა 250 000 ლარზე მეტი.”

15. 95-ე მუხლის:

ა) მე-8 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ითვლება, რომ გადასახადის გადამხდელმა განახორციელა საგადასახადო ანგარიშგება, რომლის მიხედვით მისი შემოსავლები, ხარჯები და საგადასახადო აგენტის ფუნქციის შესრულებასთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებები შესაბამისი პერიოდების მიხედვით ნულის ტოლია. ამასთანავე, თუ დეკლარირება შემდგომში განხორციელდება აღნიშნული პერიოდების მიხედვით, იგი ჩაითვლება შესწორებულ დეკლარაციად.“;

ბ) ბოლოში დაემატოს მე-9 ნაწილი შემდეგი რედაქციით:

„9. ფიზიკურ პირს, რომელიც ეწევა არასამეწარმეო-ეკონომიკურ საქმიანობას და მიღებული ერთობლივი წლიური შემოსავლიდან არ ახორციელებს გამოქვითვებს (გარდა ამ კოდექსის 217-ე მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა), უფლება აქვს არ წარადგინოს საგადასახადო ორგანოებში საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია. ამ შემთხვევაში, მის მიერ დადგენილ ვადაში ფაქტობრივად გადახდილი წლიური საშემოსავლო გადასახადის თანხა ჩაითვლება საშემოსავლო გადასახადის მიხედვით დეკლარირებულ საგადასახადო ვალდებულებად. ამასთანავე, თუ დეკლარირება შემდგომში განხორციელდება აღნიშნული პერიოდების მიხედვით, იგი ჩაითვლება შესწორებულ დეკლარაციად.“.

16. 99-ე მუხლის მე-7 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. მოსამართლის ბრძანების გარეშე აკრძალულია გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საქმიანობის უკვე შემოწმებული საკითხის ხელახალი შემოწმება, გარდა იმ საკითხებისა რომელთა მიხედვით გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ ხდება უკვე შემოწმებული პერიოდის გადასახადებზე შესწორებული საგადასახადო დეკლარაციის წარდგენა.“.

17. 113-ე მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. გეგმური გასვლითი საგადასახადო შემოწმება ტარდება საგადასახადო ორგანოს უფროსის/მისი მოადგილის გადაწყვეტილებით, კალენდარული წლის განმავლობაში არა უმეტეს ერთხელ, რის თაობაზედაც გადასახადის გადამხდელს ეგზავნება წერილობითი შეტყობინება შემოწმების დაწყებამდე არანაკლებ 10 დღისა, ხოლო შემოწმება უნდა დაიწყოს გადამხდელისათვის შეტყობინების ჩაბარებიდან არაუგვიანეს 30 დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში დასაბუთებული მიზეზების გამო შეუძლებელი ხდება შემოწმების დაწყება, შეტყობინების ბათილად ცნობის თაობაზე ეცნობება გადამხდელს. შეტყობინებაში

უნდა მიეთითოს გეგმური გასვლითი საგადასახადო შემოწმების საფუძველი და საგანი, ასევე შემოწმების ჩატარების სავარაუდო დრო.“.

18. 133-ე მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ მუხლის მიზნებისათვის შემოსავლებისა და ხარჯების, აგრეთვე გადასახადებით დასაბეგრი სხვა ობიექტების აღრიცხვის წესის დარღვევად ითვლება პირველადი დოკუმენტების, სასაქონლო ზედნაღებების (დღგ-ის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების), საბუღალტრო აღრიცხვის რეგისტრების უქონლობა, ან დადგენილი წესის დარღვევით მათი წარმოება, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნის ან/და დალუქვის გარეშე შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის არსებობა, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე და ანგარიშგებაში გადასახადის გადამხდელის სამეურნეო ოპერაციების, ფულადი სახსრების, მატერიალური ფასეულობების, არამატერიალური აქტივებისა და ფინანსური დაბანდების სისტემატურად (კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ და მეტჯერ) არადროულად ან არასწორად ასახვა.“.

19. 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) 2008 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ ფიზიკური პირის მიერ ამ მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს.“.

20. 172-ე მუხლის „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) 2008 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ პირის მიერ ამ მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს;

„ზ) 2008 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომლის რეინვესტირებაც ხდება ამ საქმიანობის ფარგლებში;“.

21. 175-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) არასამეწარმეო საქმიანობისთვის გამოყენებული აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტო შემოსავალი;“.

22. 197-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საწარმოს, იურიდიული პირის ან/და მეწარმე ფიზიკური პირის მიერ რისკის დაზღვევისა და გადაზღვევის საფუძველზე, საერთაშორისო კავშირგაბმულობის ტელესაკომუნიკაციო მომსახურებისათვის და საერთაშორისო გადაზიდვების სატრანსპორტო მომსახურებისათვის გადახდილი თანხები – 4 პროცენტით. აღნიშნული განაკვეთით იბეგრება აგრეთვე არარეზიდენტების მიერ მიღებული ქონების ლიზინგით გაცემიდან მიღებული შემოსავლები და „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განხორციელებისას არარეზიდენტი ქვეკონტრაქტორების მიერ მიღებული შემოსავალი;“.

23. 217-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ და „მ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული ფიზიკური პირები ვალდებული არიან აწარმოონ შემოსავლებისა და

ხარჯების გამარტივებული აღრიცხვა. ამასთან, 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტში აღნიშნულ ფიზიკურ პირებს ამ მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრული დეკლარაციის წარდგენა საგადასახადო ორგანოში არ ევალებათ.“

24. 218-ე მუხლის:

ა) მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ბიუჯეტში გადარიცხოს გადასახადი პირისათვის თანხის გადახდისთანავე. განაცემის არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში, შესაბამისი თვის ბოლო რიცხვში.“

ბ) მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული საგადასახადო აგენტი ვალდებულია, ყოველთვიურად, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისათვის, ამავე ქვეპუნქტების მიხედვით განხორციელებული განაცემების დაბეგვრასთან დაკავშირებით დეკლარაცია წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმით და წესით.“

25. 221-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ახორციელებს აქციზური საქონლის წარმოებას ან/და იმპორტს (გარდა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილების იმპორტისა ან/და მიწოდებისა), იგი უნდა გატარდეს რეგისტრაციაში აქციზური საქონლის მიწოდებამდე.“;

26. 222-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პირი, რომელიც ნებაყოფლობით ტარდება რეგისტრაციაში, გადასახადის გადამხდელად ითვლება მის მიერ რეგისტრაციის თაობაზე განცხადებაში დაფიქსირებული თარიღიდან, მაგრამ არაუგვიანეს 221-ე მუხლით განსაზღვრული ვადებისა.“.

27. 223-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საგადასახადო ორგანო ვალდებულია პირი გაატაროს დღგ-ის გადამხდელთა რეესტრში და მისცეს მას საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის სარეგისტრაციო სერტიფიკატი განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.“.

28. 228-ე მუხლის პირველი ნაწილის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) გაუქმებულია დასაბეგრი ოპერაცია, მათ შორის ხელახალი რეგისტრაციისას დღგ-ის გადამხდელად წინა რეგისტრაციის გაუქმებისას მიწოდებად განხილულ საქონლის არსებულ ნაშთზე“;

29. 230-ე მუხლის პირველი ნაწილის:

ა) „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) საქონლის იმპორტი ამ კოდექსის 270³ მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად“;

ბ) „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) საქართველოს საპატრიარქოს მიერ ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნის, კალენდრისა და სხვა საღვთისმსახურო საგნების მიწოდება, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ რელიგიური მიზნით; საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია და მოხატვა, აგრეთვე პირების მიერ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარესტავრაციო, სარეაბილიტაციო და კვლევითი სამუშაოების წარმოება“;

გ) „ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

30. 236-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 236. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის (გადამუშავების პროდუქტის ან გადაუმუშავებელი საქონლის) საქართველოს ტერიტორიიდან გატანის დაბეგვრა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის (გადამუშავების პროდუქტის ან გადაუმუშავებელი საქონლის) საქართველოს ტერიტორიიდან გატანა იბეგვრება დღგ-ის ნულოვანი განაკვეთით.“.

31. 237-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 237. ელექტროენერჯის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის მომსახურების და ელექტროენერჯის მიწოდების დაბეგვრა 2008 წლის 1 იანვრამდე ელექტროენერჯის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის მომსახურება და ელექტროენერჯის მიწოდება, გარდა ელექტროენერჯის მომხმარებლისათვის მიწოდებისა (მათ შორის, სხვა მომხმარებლებისათვის შემდგომი მიწოდების მიზნით), იბეგვრება დღგ-ის ნულოვანი განაკვეთით.“.

32. 269-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კოდექსის 266-ე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში სოციალური გადასახადი გადაიხდება დაქირავებულისათვის ხელფასის ან სხვა მომსახურების ანაზღაურების გაცემისთანავე, ხოლო განაცემის არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში, შესაბამისი თვის ბოლო რიცხვში. თუ ხელფასები ბანკის საშუალებით გაიცემა, დამქირავებელი შრომის ასანაზღაურებლად თანხების მოთხოვნასთან ერთად ბანკში წარადგენს საგადახდო დავალებას გადასახადის გადარიცხვის თაობაზე. გადასახადის გადამხდელის მიერ საგადახდო დავალების წარდგენის გარეშე ბანკი ხელფასის თანხას არ გასცემს. გადასახადის გადამხდელის მიერ სოციალური გადასახადი გამოიანგარიშება ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისათვის და საგადასახადო ორგანოებს წარედგინება დეკლარაცია საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმით.“.

33. 270-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) 2008 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული და საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით დაკავებული პირის მიერ აღნიშნულ საქმიანობაში დაქირავებულისათვის გადახდილი ანაზღაურება, თუ კალენდარული წლის განმავლობაში დამქირავებლის მიერ ამ მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს.“.

34. XII კარის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის XII¹ კარი:

„XII¹ კარი. საბაჟო გადასახადი

თავი XXXIX¹

საბაჟო გადასახადი

მუხლი 270¹. გადასახადის გადამხდელი საბაჟო გადასახადის გადამხდელი არის პირი, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებს საქონელს.

მუხლი 270². დაბეგვრის ობიექტი

საბაჟო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია იმ საქონლის საბაჟო ღირებულება, რომელიც გადაკვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 270³. გადასახადის განაკვეთი

1. საბაჟო გადასახადის 12 პროცენტის განაკვეთით იბეგრება შემდეგი საქონლის საბაჟო ღირებულება:

№	კოდი	დასახელება
1	0105	შინაური ფრინველი ცოცხალი, ანუ შინაური ქათამი (<i>Gallus domesticus</i>), იხვები, ბატები, ინდაურები და ციცრები:
2	0201	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, ახალი ან გაცივებული:
3	0202	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, გაყინული:
4	0203 11	– – დაუფეშსოებელი ნაკლავი და დაფეშსოებული ნაკლავი:
5	0203 12	– – ბარკლები, ბეჭები და მათი გადანაჭრები, ძვლებგამოუცვლელი:
6	0203 19	– – დანარჩენი
7	0203 21	– – დაუფეშსოებელი ნაკლავი და დაფეშსოებული ნაკლავი:
8	0203 29	– – დანარჩენი
9	0204	ხორცი ცხვრისა ან თხისა ახალი, გაცივებული ან გაყინული:
10	0205 00	ხორცი ცხენების, ვირების, ჯორებისა ან ჯორცხენების, ახალი, გაცივებული ან გაყინული:
11	0206	საკვები სუბპროდუქტები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორების, ცხვრების, თხების, ცხენების, ვირების, ჯორებისა ან ჯორცხენებისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული:
12	0207	ხორცი და საკვები სუბპროდუქტები 0105 სასაქონლო პოზიციაში მითითებული შინაური ფრინველისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული:
13	0208	სხვა ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, ახალი, გაცივებული ან გაყინული:
14	0209 00	ღორის ქონი, მჭლე ხორცისაგან გამოცალკევებული და შინაური ფრინველის ქონი, გადაუდნობელი ან რაიმე სხვა ხერხით ამოუღებელი, ახალი, გაცივებული, გაყინული, დამარილებული, მარილწყალში, გამხმარი ან შებოლილი:
15	0210	ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, დამარილებული, მარილწყალში, გამხმარი ან შებოლილი; საკვები ფქვილი ხორცისა ან ხორცის სუბპროდუქტებისაგან:
16	0401 10 100 00	– – პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
17	0401 20 110 00	– – – პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
18	0401 20 910 00	– – – პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
19	0401 30 110 00	– – – პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
20	0401 30 310 00	– – – პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა

21	0401 30 910 00	– – – პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
22	0402 10 110 00	– – – პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
23	0402 10 910 00	– – – პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
24	0402 21 110 00	– – – – პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
25	0402 21 910 00	– – – – პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
26	0402 29 150 00	– – – – – პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
27	0402 29 910 00	– – – – პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
28	0402 91 110 00	– – – – პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
29	0402 91 310 00	– – – – პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
30	0402 91 510 00	– – – – პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
31	0402 91 910 00	– – – – პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
32	0402 99 110 00	– – – – პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
33	0402 99 310 00	– – – – პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
34	0402 99 910 00	– – – – პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
35	0403	დო, აჭრილი რძე და ნაღები, იოგურტი, კეფირი და სხვა ფერმენტირებული ან შედედებული რძე და ნაღები, შესქელებული ან შეუსქელებელი, შაქრისა ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე, საგემონო-არომატული დანამატებით ან მათ გარეშე, ხილის, კაკლისა ან კაკოს დამატებით ან მათ გარეშე;
36	0406 10	– ახალი ყველი (მოსუმწიფებელი ან დაუვარგებელი), შრატ-ალბუმინური ყველის ჩათვლით, და ხაჭო:
37	0406 40	– ცისფერი ყველი:
38	0407 00	ფრინველის კვერცხი ნაჭუჭით, ახალი, დაკონსერვებული ან მოხარშული:
39	0408	ფრინველის კვერცხი უნაჭუჭოდ და კვერცხის გულები, ახალი, გამხმარი, ორთქლზე ან მდუღარე წყალში მოხარშული, დაყალიბებული, გაყინული ან სხვა ხერხით დაკონსერვებული, შაქრისა ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე;
40	0409 00 000 00	ნატურალური თაფლი
41	0410 00 000 00	ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი
42	0701	კარტოფილი ახალი ან გაცივებული:
43	0702 00 000 00	პომიდორი, ახალი ან გაცივებული

44	0703	ხახვი თავიანი, ხახვი-შალოტი, ნიორი, პრასი და დანარჩენი ხახვისნაირი ბოსტნეული, ახალი ან გაცივებული:
45	0704	თაგხვეული კომბოსტო, ყვავილოვანი კომბოსტო, კოლრაბი, ქეჟურა კომბოსტო და <i>Brassica</i> გვარის საკვები ანალოგიური ბოსტნეული, ახალი ან გაცივებული:
46	0705	სალათა - ღორის ქადა (<i>Lactuca Sativa</i>) და ვარდკაჭაჭა (<i>Cichorium spp.</i>), ახალი ან გაცივებული:
47	0706	სტაფილო, თაღგამი, სუფრის ჭარხალი, თხისწვერა, ფესვურა ნიახური, ბოლოკი და სხვა ანალოგიური საკვები ძირნაყოფები, ახალი ან გაცივებული:
48	0707 00	კიტრი და კორნიშონები, ახალი და გაცივებული:
49	0708	პარკოსანი ბოსტნეული, დაჩურჩული ან დაუჩურჩავი, ახალი ან გაცივებული:
50	0709	ბოსტნეული დანარჩენი, ახალი ან გაცივებული:
51	0710	ბოსტნეული (ახალი ან წყალში ან ორთქლზე მოხარშული), გაყინული:
52	0711	დაკონსერვებული ბოსტნეული ხანმოკლე შენახვისათვის (მაგალითად, გოგირდის დიოქსიდით, მარილწყალში, გოგირდოვან წყალში ან სხვა დროებით დამაკონსერვებელ ხსნარში), მაგრამ ასეთი სახით საკვებად უშუალო გამოყენებისათვის უვარგისი:
53	0712 20 000 00	– თავიანი ხახვი
54	0712 30 000 00	– – გარიცხვს გვარის სოკოები
55	0712 32 000 00	– – ხის სოკო, ან აურიკულარიები (<i>Auricularia spp.</i>)
56	0712 33 000 00	– – საფუარი სოკოები (<i>Tremella spp.</i>)
57	0712 39 000 00	– – დანარჩენი
58	0713	პარკოსანი ბოსტნეული ხმელი, დაჩურჩული, სათესლე ქერქისაგან გაცლილი ან გაუცლელი, დამტვრეული ან დაუმტვრეველი:
59	0714	მანიოკი, მარანთა, საღეპი, მიწის მსხალი ან ტოპინამბური, ტკბილი კარტოფილი ან ბატატი და სხვა ანალოგიური ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები სახამებლისა ან ინულინის მაღალი შემცველობით, ახალი, გაცივებული, გაყინული ან ხმელი, მთელი ან დაჭრილი პატარა ნაჭრებად ან გრანულების სახით; საგოს პალმის ნაყოფის გული:
60	08	საჭმელი ხილი და კაკალი; ციტრუსოვნებისა ან ნესვების ქერქი და კანი
61	0902 10 000 00	– ჩაი მწვანე (არაფერმენტირებული), პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 3 კგ-ისა
62	0902 30 000 00	– ჩაი შავი (ფერმენტირებული) ან ნაწილობრივ ფერმენტირებული, პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 3 კგ-ისა
63	1005	სიმინდი:
64	1101 00	ხორბლისა ან ხორბალ-ჭვავის ფქვილი:

65	1102	დანარჩენი მარცვლეულის ფქვილი, გარდა ხორბლისა ან ხორბალ-ჭვავისა:
66	1103	ბურღული, უხეშად ნაფქვავი ფქვილი და მარცვლოვანების მარცვლის გრანულები:
67	1104	მარცვლოვანების მარცვალი, დამუშავებული სხვა ხერხით (მაგალითად, დაჩურჩული, გაბრტყელებული, გადამუშავებული ფანტელებად, დატეხილი, დარღშილი ან დამსხვრეული), გარდა 1006 სასაქონლო პოზიციის ბრინჯისა; მარცვლოვანების მარცვლის ჩანასახები, მთლიანი, გაბრტყელებული, ფანტელების სახით ან დაფქული:
68	1105	კარტოფილის წმინდად და უხეშად დაფქული ფქვილი, ფხვნილი, ფანტელები, გრანულები:
69	1106	წმინდად და უხეშად ნაფქვავი ფქვილი და ფხვნილი 0713 სასაქონლო პოზიციის ხმელი პარკოსანი ბოსტნეულის, საგოს პალმის ნაყოფის გულის, 0714 სასაქონლო პოზიციის ძირნაყოფების ან ბოლქვნაყოფებისა ან 08 ჯგუფის პროდუქტებისაგან:
70	1108	სახამებელი; ინულინი:
71	1109 00 000 00	ხორბლის წებოვანა, მშრალი ან ტენიანი
72	1601 00	ძეხვი და ანალოგიური პროდუქტები ხორცის, ხორცის სუბპროდუქტებისა ან სისხლისაგან; მზა საკვები პროდუქტები, დამზადებული მათ საფუძველზე:
73	1602 10 00	– ჰომოგენიზებული მზა პროდუქტები:
74	1602 20	– ნებისმიერი ცხოველის ღვიძლისაგან:
75	1602 31	– – ინდაურის:
76	1602 32	– – შინაური ქათმისაგან (<i>Gallus domesticus</i>):
77	1602 39	– – დანარჩენი:
78	1602 41	– – ბარკლები და მათი გადანაჭრები:
79	1602 42	– – ბეჭის ნაწილი და მისი გადანაჭრები:
80	1602 49	– – დანარჩენი, ნარევების ჩათვლით:
81	1602 50	– მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცისაგან:
82	1701 12	– – ჭარხლის შაქარი:
83	1701 91 000 00	– – საგემოვნო-არომატული ან საღებარი დანამატებით
84	1701 99	– – დანარჩენი:
85	1702 19 000 00	– – დანარჩენი
86	1702 20	– შაქარი და ნეკერჩხლის სიროფი:
87	1702 30	– გლუკოზა და გლუკოზას სიროფი, ფრუქტოზას შემცველობის გარეშე ან ფრუქტოზას შემცველობით 20 მას.%-ზე ნაკლები მშრალ მდგომარეობაში:
88	1702 40	– გლუკოზა და გლუკოზას სიროფი, მშრალ მდგომარეობაში ფრუქტოზას შემცველობით არანაკლებ 20 მას.%-ისა, მაგრამ 50 მას.%-ზე ნაკლები, ინვერტული შაქრის გარდა:

89	1702 50 000 00	– ქიმიურად სუფთა ფრუქტოზა
90	1702 60	– ფრუქტოზა დანარჩენი და ფრუქტოზას სიროფი, მშრალ მდგომარეობაში ფრუქტოზას შემცველობით 50 მას.%-ზე მეტი, ინვერტული შაქრის გარდა:
91	1702 90	– დანარჩენი, ინვერტული შაქრისა და სხვა შაქრისა და შაქრის სიროფების ჩათვლით, მშრალ მდგომარეობაში ფრუქტოზას შემცველობით 50 მას.-%:
92	1703	მელასა, შაქრის ამორებით ან რაფინირების შედეგად მიღებული:
93	1704	შაქრის საკონდიტრო ნაწარმი (თეთრი შოკოლადის ჩათვლით), რომლებიც არ შეიცავენ კაკაოს:
94	19	მზა პროდუქტები მარცვლოვანების მარცვლის, ფქვილის, სახამებლისა ან რძისაგან; ცომეული საკონდიტრო ნაწარმი
95	2001	ბოსტნეული, ხილი, კაკალი და მცენარეთა საკვებად ვარგისი სხვა ნაწილები, ძმრისა ან ძმარმუავას დამატებით დამზადებული ან დაკონსერვებული:
96	2002	პომიდორი, ძმრისა ან ძმარმუავას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული:
97	2003	სოკო და ტრიუფელი, ძმრისა ან ძმარმუავას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული:
98	2004	სხვა ბოსტნეული, ძმრისა ან ძმარმუავას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული, გაყინული, 2006 სასაქონლო პოზიციის პროდუქტების გარდა:
99	2005	სხვა ბოსტნეული, ძმრისა ან ძმარმუავას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული, გაყინავი, 2006 სასაქონლო პოზიციის პროდუქტების გარდა:
100	2006 00	ბოსტნეული, ხილი, კაკალი, ნაყოფების ქერქი ან მცენარეთა სხვა ნაწილები, შაქრით დაკონსერვებული (შაქრის სიროფით გაუღენთილი, მოსარკლული ან დაშაქრული):
101	2007	ჯემი, ხილის ჟელე, მარმელადები, ხილისა ან კაკლის პიურე, ხილისა ან კაკლის პასტა, თბური დამუშავებით მიღებული, მათ შორის შაქრისა ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატებით:
102	2008 19	– – დანარჩენი, ნარევების ჩათვლით:
103	2008 20	– ანანასი:
104	2008 30	– ციტრუსების:
105	2008 40	– მსხალი:
106	2008 50	– გარგარი:
107	2008 60	– ალუბალი და ბალი:
108	2008 70	– ატამი, ნექტარინის ჩათვლით:
109	2008 80	– მარწყვი და ხენდრო:
110	2008 91 000 00	– – პალმის გული
111	2008 92	– – ნარევები:

112	2008 99	– – დანარჩენი:
113	2009	ხილის წვენები (ყურძნის ბადავის ჩათვლით) და ბოსტნეულის წვენები, დაუდუღებელი და სპირტის დანამატების გარეშე, შაქრისა ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე:
114	2201 10 190 09	– – – – დანარჩენი
115	2201 10 900 00	– – დანარჩენი
116	2201 90 000 09	– – – დანარჩენი
117	2201 90 000 99	– – დანარჩენი
118	2202	წყლები, მინერალურისა და გაზიანის ჩათვლით, შაქრისა ან სხვა დამატკობელი ან საგემოვნოარომატული ნივთიერებების დანამატების შემცველობით, და სხვა უაღკოჰოლო სასმელები, 2009 სასაქონლო პოზიციის ხილისა და ბოსტნეულის წვენების გარდა:
119	2203 00	ალაოს ლუდი:
120	24	თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცველები
121	25	მარილი; გოგირდი; მიწები და ქვა; საბათქაშე მასალები, კირქვა და ცემენტი
122	6801 00 000 00	ძელურა, ბორდიურის ქვები და დასაგები ფილები ბუნებრივი ქვისაგან (გარდა ფიქალისა)
123	6802	ქვა დამუშავებული (გარდა ფიქალისა) ძეგლებისა ან მშენებლობისათვის, და მისი ნაწარმი, გარდა 6801 სასაქონლო პოზიციის საქონლისა; მოზაიკის კუბურები და ბუნებრივი ქვის (ფიქალის ჩათვლით) ანალოგიური ნაწარმი ფუძეზე ან ფუძის გარეშე; ბუნებრივი ქვის (ფიქალის ჩათვლით) გრანულები, ნაფხვენი და ფხვნილი, ხელოვნურად შეღებილი:
124	6803 00	ფიქალი დამუშავებული და ფიქალისა ან აგლომერირებული ფიქალის ნაწარმი:
125	6804	დოლაბები, საღესი ქვები, სახეხი რგოლები და ანალოგიური უკარკასო ნაწარმი, განკუთვნილი სახეხად, საღესად, საპრიალებლად, მოსარგებლად ან მოსაჩუქურთმებლად, ქვები ხელით საღესად ან საპრიალებლად და მათი ნაწილები ბუნებრივი ქვისაგან, აგლომერირებული ბუნებრივი ან ხელოვნური აბრაზივების ან კერამიკისაგან, სხვა მასალების დეტალებთან აწყობილი ან ამ დეტალების გარეშე:
126	6805	ბუნებრივი ან ხელოვნური აბრაზიული ფხვნილი ან მარცვალი, გაჭრილ ან გაკერილ, ან განსაზღვრული ფორმის მისაღებად სხვა მეთოდით დამუშავებულ, ან დაუმუშავებელ ქსოვილის, ქაღალდის, მუყაოსა ან სხვა ფუძეზე:
127	6806	წილის ბამბა, მინერალური სილიკატური ბამბა და ანალოგიური მინერალური ბამბები; განშრევებული ვერმიკულიტი, აფუებული თიხები, აქაფებული წიდა და ანალოგიური აფუებული მინერალური პროდუქტები; თბოსაიზოლაციო, ბგერათსაიზოლაციო ან ბგერათშთამნქმელი მინერალური მასალების ნარევი და ნაწარმი, გარდა 6811 ან 6812 სასაქონლო პოზიციების ან 69 ჯგუფის ნაწარმისა:

128	6807	ნაწარმი ასფალტისა ან ანალოგიური მასალებისაგან (მაგალითად, ნავთობის ბიტუმისა ან ქვანახშირის სქელფისისაგან):
129	6808 00 000 00	პანელები, ფილები, ბლოკები და ანალოგიური ნაწარმი ცემენტით, თაბაშირით ან სხვა მინერალური შემკვრელი ნივთიერებებით აგლომერირებული მცენარეული ბოჭკოების, ჩალის, ბურბუშელას, ნაფოტის, ნაწილაკების, ნახერხის ან ხე-ტყის სხვა ნარჩენებისაგან
130	6809	ნაწარმი თაბაშირისა ან მის ფუძეზე დამზადებული ნარეგებისაგან:
131	6810	ცემენტის, ბეტონისა ან ხელოვნური ქვის ნაწარმი, დაარმატურებული ან დაუარმატურებელი:
132	6811	ნაწარმი აზბესტცემენტის, ცელულოზის ბოჭკოებიანი ცემენტისა ან ანალოგიური მასალებისაგან:
133	6812 50 000 00	– ტანსაცმელი, ტანსაცმლის საკუთნოები, ფეხსაცმელი და თავსაბურავები
134	6812 60 000 00	– ქაღალდი, სქელი მუყაო, ქეჩა ან ფეტრი
135	6812 70 000 00	– ფურცლები ან რულონები წნეხილი აზბესტისაგან
136	6814	ქარსი დამუშავებული და მისი ნაწარმი, აგლომერირებული ან რეგენერირებული ქარსის ჩათვლით, ქაღალდის, მუყაოსა ან სხვა ფუძეზე ან მის გარეშე:
137	6815	ნაწარმი ქვის ან სხვა მინერალური ნივთიერებებისაგან (ნახშირბადიანი ბოჭკოების, ნახშირბადიანი ბოჭკოების ნაწარმისა და ტორფის ნაწარმის ჩათვლით), სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი:

2. საბაჟო გადასახადის 5 პროცენტის განაკვეთით იბეგრება შემდეგი საქონელის საბაჟო ღირებულება:

№	კოდი	დასახელება
1	0203 22	– – ბარკლები, ბეჭები და მათი გადანაჭრები, ძვლები-მთუცვლები:
2	0405 10 110 00	– – – – პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 1 კგ-ისა
3	0406 20	– ყველი სრესილი ან ფხვნილის სახით, ყველა ხარისხის:
4	0406 30	– მდნარი ყველი, არც სრესილი და არც ფხვნილის სახით:
5	0406 90	– დანარჩენი ყველი:
6	0804 40 000 00	– ავოკადო
7	0804 50 000 00	– გუაიავა, მანგო და მანგოსტანი, ანუ გარცინია
8	1702 11 000 00	– – ლაქტოზის შემცველები 99 მას.% ან მეტი, გამოსატყული, როგორც უწყლო ლაქტოზა, მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით
9	2008 11	– – – არაქისის ხეტი

3. ამ ნაწილში აღნიშნული საქონელი იბეგრება შემდეგი საბაჟო გადასახადის განაკვეთით (euro/% vol/HL ნიშნავს, რომ ერთ ჰექტალიტრზე (100 ლიტრზე) გადასახდელი საბაჟო გადასახადის თანხა შეადგენს საბაჟო გადასახადის განაკვეთის ნამრავლს მოცემული საქონლის აღკოპოლის პროცენტული შემცველობის მაჩვენებელზე):

№	კოდი	დასახელება	საბაჟო გადასახადის განაკვეთი
1	2204 10	– ღვინოები ცქრიალა:	1,5 euro/lit
2	2204 21	– – 2 ლ ან 2 ლ-ზე ნაკლები ტევადობის ჭურჭელში:	0,5 euro/lit
3	2204 29	– – დანარჩენი:	0,2 euro/lit
4	2204 30	– ყურძნის ტკბილი, დანარჩენი:	0,2 euro/lit
5	2205	ვერმუტები და ყურძნის სხვა ნატურალური ღვინოები, მცენარეული ან არომატული ექსტრაქტების დამატებით:	0,5 euro/lit
6	2206 00	სხვა დადუღებული სასმელები (მაგალითად, სიდრი, პერი [მსხლის სიდრი], თაფლის სასმელი); ნარევები დადუღებული სასმელებისაგან და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩამოუთვლელი:	0,5 euro/lit
7	2207	ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.% ან 80 მოც.%-ზე მეტი; ეთილის სპირტი და სხვა დენატურირებული სპირტები ნებისმიერი კონცენტრაციით:	3 euro/lit
8	2208 20	– სპირტის ნაყენები, მიღებული ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციის (გამოხდის) შედეგად:	5 euro/lit
9	2208 30	– ვისკი:	5 euro/% vol/HL
10	2208 40	– რომი და ტაფია:	5 euro/% vol/HL
11	2208 50	– ჯინი და ღვის ნაყენი:	5 euro/% vol/HL
12	2208 60	– არაყი:	5 euro/% vol/HL
13	2208 70	– ლიქიორები:	5 euro/% vol/HL
14	2208 90	– დანარჩენი:	5 euro/% vol/HL
15	2209 00	ძმარი და მისი შემცველები, მიღებული ძმარმჟავასაგან:	0,4 euro/lit

4. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმით შემოტანილი საქონელი დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე იბეგრება საბაჟო გადასახადის იმ თანხის 3 პროცენტით, რომელიც გადაიხდებოდა საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას. აღნიშნული თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად, საანგარიშო თვის 15 რიცხვამდე, ხოლო ბოლო გადახდა – საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის დასრულების დღეს.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნული, გადახდას დაქვემდებარებული თანხების ჯამური ოდენობა (საურავის გარეშე) არ უნდა აღემატებოდეს საბაჟო გადასახადის იმ თანხას, რომელიც გადაიხდებოდა საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას.

6. 2009 წლის 1 იანვრამდე საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომეკლატურის 8703 კოდში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილის იმპორტისას საბაჟო გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება 0,05 ლარით ავტომობილის ძრავის მოცულობის ყოველ კუბურ სანტიმეტრზე პლუს საბაჟო გადასახადის თანხის 5 პროცენტი ავტომობილის ექსპლუატაციაში ყოფნის ყოველი წლისათვის.

მუხლი 270⁴. საბაჟო გადასახადის დარიცხვისა და გადახდის წესი

1. საბაჟო გადასახადის დარიცხვა ხდება საქონლის საბაჟო ღირებულების მიხედვით (გარდა ამ კოდექსის 270³ მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა), ხოლო გადახდა – საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საბაჟო ორგანოების მიერ საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელებამდე სხვა საბაჟო გადასახდებლებთან ერთად.

2. საბაჟო გადასახადის გადახდის საფუძველია საბაჟო დეკლარაცია.

მუხლი 270⁵. გადასახადისაგან გათავისუფლება

საბაჟო გადასახადისგან განთავისუფლებულია:

ა) საქონლის ექსპორტი;

ბ) საქონლის რეექსპორტი; საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისას გადაიხდებოდა საბაჟო გადასახადი ან რეექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური იტოვებს საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებულ გარანტიას, ხოლო საქართველოს ტერიტორიიდან ამ საქონლის გატანისას გადამხდელს უბრუნდება საბაჟო გადასახადის გადახდილი თანხა ან უქმდება გარანტია ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;

გ) საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი საქონელი;

დ) უცხოური საქონელი საბაჟო საწყობებში მოთავსებისას; საბაჟო საწყობებიდან საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას იგი იბეგრება დადგენილი წესით, ხოლო სხვა საბაჟო რეჟიმის პირობებში – სათანადო რეჟიმის შესაბამისად;

ე) საქონლის იმპორტი სტიქიური უბედურებისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით;

ვ) საქონლის იმპორტი, რომელიც გათვალისწინებულია გრანტების შესახებ ხელშეკრულებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად განსაზღვრული წესით;

ზ) საქონლის იმპორტი, რომელიც ფინანსდება გრანტებით ან უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოს ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტებით, რომლებიც არანაკლებ 25 პროცენტის ოდენობით შეიცავს გრანტის ელემენტს. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გრანტის ელემენტს გაიანგარიშებს საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად;

თ) საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია უცხო ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობისა და მასთან გათანაბრებული წარმომადგენლობების ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მასთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, უცხო ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ქონების იმპორტი, აგრეთვე „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ნავთობისა და გაზის ოპერაციებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების იმპორტი;

ო) საქონლის დროებითი შემოტანა საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრული განთავისუფლებით (გარდა იმ საქონლისა, რომელსაც გაუგრძელდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებითი ყოფნის ვადა); გემების, საჰაერო საფრენი საშუალებებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების, კერძოდ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზერუმის მილსადენების მშენებლობის, შესრულების უზრუნველსაყოფად საქონლის საქართველოში დროებითი შემოტანა; საქონლის დროებითი შემოტანა, რომელიც განკუთვნილია უცხო ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობისა და მასთან გათანაბრებული წარმომადგენლობების ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მასთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის იმ სახით, რა სახითაც ასეთი განთავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო; აგრეთვე ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების დროებითი შემოტანა;

კ) თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში საქონლის გადატანის, საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ საქონლის განადგურების ან სახელმწიფო საკუთრებაში საქონლის გადაცემის საბაჟო დამუშავების ოპერაციისათვის განკუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა; საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული გადამუშავების პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ამ რეჟიმის შესაბამისად; საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრული დაბრუნებული საქონლის, საზღვაო თევზ-ჭერის ან ზღვის სხვა პროდუქტების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა; საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმებში მოსაქცევად განკუთვნილი საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა, რომელზედაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი იტოვებს საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებულ გარანტიას, ხოლო საქართველოს ტერიტორიიდან ამ საქონლის გატანისას უქმდება გარანტია ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;

ლ) გზავნილების შემთხვევაში, იურიდიული პირის მიერ (გარდა ამ პუნქტის „ლ.გ“, „ლ.დ“ და „ლ.ე“ ქვეპუნქტებისა) ან ფიზიკური პირის მიერ ერთი დღე-ღამის განმავლობაში;

ლ.ა) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 06, 07, 08, 19 ჯგუფებისა და 0401-0406, 1601, 1702-1704, 2101-2102 სასაქონლო პოზიციების შესაბამისი ჯამური თანხით 200 ლარამდე ღირებულების, მაგრამ საერთო წონით არა უმეტეს 5 კგ-ისა, კვების პროდუქტების იმპორტი;

ლ.ბ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 28-96 ჯგუფების შესაბამისი 300 ლარამდე (ფიზიკური პირის მიერ საჰაერო ტრანსპორტით შემოტანისას - 1500 ლარამდე) ღირებულების, 50 კგ-მდე საერთო წონის, არაერთგვაროვანი, პირადი სარგებლობისათვის (ფიზიკური პირის შემთხვევაში) განკუთვნილი საქონლის იმპორტი;

ლ.გ) 2 ლიტრი ყველა სახის ალკოჰოლური სასმელისა და 200 ღერი სიგარეტის იმპორტი (გარდა 18 წლამდე ასაკის პირის მიერ იმპორტირებულისა);

ლ.დ) უცხოეთში ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსული პირის მიერ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 28-96 ჯგუფების შესაბამისი 7500 ლარამდე ღირებულების, არაერთგვაროვანი, პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი, ხოლო უცხო ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული დიპლომატიური თანამდებობის პირისათვის დამატებით მის მიერ პირადი

სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის (ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების, ერთი მაცივრის, ერთი კომპიუტერის, ერთი ტელევიზორის) იმპორტი;

ღ) საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას ფიზიკური პირის მიერ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის (მათ შორის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების) იმპორტი;

მ) ბავშვთა კვების პროდუქტებისა და დიაბეტური კვების იმ პროდუქტების იმპორტი, რომლებიც მარკირებულია ასეთად საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისათვის; რენტგენის ფირების, ინსულინის შპრიცების (ნემსების), გლუკომეტრების, სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების იმპორტი;

ნ) საერთაშორისო საჰაერო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებული საავიაციო საწვავი, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებები, აგრეთვე საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებული საწვავი და საპოხი საშუალებები. საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული საქონლის შემოტანისას გადაიხდებინება საბაჟო გადასახადი ან საბაჟო ორგანოები იტოვებენ საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებულ გარანტიას, ხოლო საერთაშორისო საჰაერო და საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე ფაქტობრივად მიწოდებული მოცულობის მიხედვით იმპორტიორს უბრუნდება გადახდილი საბაჟო გადასახადის თანხა ან უქმდება გარანტია;

ო) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოებისათვის განკუთვნილი მოწყობილობა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების იმპორტი;

პ) უსასყიდლოდ ჩამორთმეული, კონფისკებული, უპატრონო და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადავიდა სახელმწიფოს განკარგვაში ან საკუთრებაში;

ჟ) 2008 წლის 1 იანვრამდე თამბაქოს ნაწარმის ან/და ნედლეულის („ტრაპზონის“ ჯიშის თამბაქოს გარდა) იმპორტი“.

35. 275-ე მუხლის:

ა) მე-5 და ნე-6 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული პირი გადასახადს იხდის არა უგვიანეს საგადასახადო წლის 15 ნოემბრისა.“

6. ამ კოდექსის 272-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით, მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-5 ნაწილით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტებზე ქონების გადასახადი გადაიხდებინება საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით მიმდინარე გადასახდელის სახით და ბიუჯეტში ჩაირიცხება არა უგვიანეს საგადასახადო წლის 15 ივნისისა. მიმდინარე გადასახდელის სახით ბიუჯეტში ჩაირიცხული თანხა ჩაითვლება საგადასახადო პერიოდის მიხედვით გამოანგარიშებულ გადასახადის თანხად. ამასთანავე, თუ გადასახადის გადამხდელი არსებობს მხოლოდ არასრული კალენდარული წლის განმავლობაში, იგი გადასახადს იხდის ამ პერიოდის პროპორციულად.“

ბ) მე-9 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. ამ კოდექსის 272-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტზე გადასახადის თანხის გადახდა ხდება ყოველწლიურად:“

ა) სატრანსპორტო საშუალებებზე, რომელიც არ ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო ტექნიკურ დათვალიერების გავლას - არა უგვიანეს 15 ნოემბრისა, ხოლო თუ დაბეგვრის ობიექტის გასხვისება აღნიშნულ ვადამდე ხდება, - მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციამდე. ამ შემთხვევაში ქონების მიმდებარე მიმდინარე კალენდარული წლისათვის დაბეგვრის ობიექტის მიხედვით საგადასახადო ვალდებულება არ წარმოეშობა;

ბ) სატრანსპორტო საშუალებებზე, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო ტექნიკურ დათვალიერების გავლას - ყოველწლიურად სატრანსპორტო

საშუალების რეგისტრაციის, ხელახალი რეგისტრაციის (თუ სატრანსპორტო საშუალების წინა მესაკუთრეს მიმდინარე კალენდარული წლის გადასახადი არა აქვს გადახდილი) ან ყოველწლიური ტექნიკური დათვალიერების დროს. რეგისტრაცია, ხელახალი რეგისტრაცია ან ყოველწლიური ტექნიკური დათვალიერება არ უნდა განხორციელდეს გადასახადის გადახდის გარეშე“.

გ) მე-12 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ხდება ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული იმ მსუბუქი ავტომობილის რეალიზაცია, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო ტექნიკურ დათვალიერების გავლას. ამ შემთხვევაში ქონების გადასახადის გადახდის ან ამ გადასახადში საგადასახადო ვალდებულების არარსებობის ფაქტს განსაზღვრავს უშუალოდ მარეგისტრირებელი ორგანო“;

დ) მე-14 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„14. ამ კოდექსის 272-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-6 ნაწილით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტებზე ფიზიკურ პირს უფლება აქვს, არ წარადგინოს დეკლარაცია, თუ:

ა) ამავე კოდექსის 276-ე მუხლის გათვალისწინებით მას საგადასახადო პერიოდის მიხედვით საგადასახადო ვალდებულება არ წარმოეშობა;

ბ) საანგარიშო წლის წინა პერიოდის მიხედვით ქონების გადასახადის დეკლარაცია წარმოდგენილია ან დარიცხულია საგადასახადო ორგანოს მიერ და მომდევნო საანგარიშო პერიოდების მიხედვით არ ხდება დაბეგვრის ობიექტის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილება. ამ შემთხვევაში ითვლება, რომ გადასახადის გადამხდელმა განახორციელა საგადასახადო ანგარიშგება, ხოლო საგადასახადო ორგანომ გადამხდელს წარუდგინა „საგადასახადო მოთხოვნა“, რომლის მიხედვითაც საგადასახადო ვალდებულება შესაბამისი პერიოდის მიხედვით ბოლო დეკლარირებულის (დარიცხულის) ტოლია. ამასთანავე, თუ დეკლარირება შემდგომში განხორციელდება აღნიშნული პერიოდების მიხედვით, იგი ჩაითვლება შესწორებულ დეკლარაციად“.

36. XLI თავი ამოღებულ იქნეს.

37. 281-ე მუხლის:

ა) მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. 2008 წლის 1 იანვრამდე პირებზე, რომლებიც ჟურნალ-გაზეთების გავრცელებას ახორციელებენ სპეციალიზებული ჯიხურებით, რომლებშიც იყიდება მხოლოდ ჟურნალები ან/და გაზეთები, არ ვრცელდება ამ კოდექსის 97¹ მუხლით განსაზღვრული ვალდებულებები“;

ბ) ბოლოში დაემატოს მე-15 ნაწილი შემდეგი რედაქციით:

„15. 2007 წელს ამ კოდექსის 272-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით:

ა) თუ ფიზიკური პირის მიერ არ განხორციელდა ამ კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დეკლარაციის წარდგენა, მაშინ საგადასახადო ორგანოები საგადასახადო ვალდებულებებს განსაზღვრავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სარეგისტრაციო სამსახურების მიერ ამ კოდექსის 274-ე მუხლის მე-10 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად საგადასახადო ორგანოებისათვის წარდგენილი მონაცემების საფუძველზე;

ბ) ფიზიკურ პირებს ქონების გადასახადის დეკლარაციის წარუდგენლობისათვის ამ კოდექსის 131-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა არ ეკისრებათ“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი